

საქართველოს კანონი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო
ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 46, 3.12.1997, გვ. 72) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- 1) მე-5¹ მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში - ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ტერიტორიისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით“;
- 2) მე-5¹ მუხლის 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) მუნიციპალიტეტის დასახლებებში – დაბაში, თემში ან სოფელში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით“;
- 3) მე-5² მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) „მუნიციპალიტეტის დასახლებაში - ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ტერიტორიისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით“;
- 4) მე-5² მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ე) „მუნიციპალიტეტის დასახლებებში – დაბაში, თემში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით“;
- 5) მე-5³ მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) „მუნიციპალიტეტის დასახლებაში - ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ტერიტორიისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით“;
- 6) მე-5³ მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) „მუნიციპალიტეტის დასახლებებში – დაბაში, თემში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით“;
- 7) მე-5⁴ მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) „მუნიციპალიტეტის დასახლებაში - ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ტერიტორიისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით“;
- 8) მე-5⁴ მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) „მუნიციპალიტეტის დასახლებებში – დაბაში, თემში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით“;
- 9) მე-5⁵ მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი